წელიწადი მეექვსე.

საქართველო ეწინარეს ყველისა

თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
თებერვალი 1931 წელი
№ 37

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII
რედაქტორი მ. წერეთელი.

Paris
Février 1931
No 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,თ. გ.''-ის რედაქცია აცხადებს თავის მწუხარებას **აკაკი ხოშტარიას** გარდაცვალების გამო და უთვლის სამძიმარს განსვენებულის ნათესავთა და მახლობელთ.

ათი მწარე წელი.

ათმა საშინელმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც გაბოლშევიკებული რუსეთი კვლავ დაეპატრონა საქართველოს. ვერ დაიცვა თავი საქართველომ და ამისი მიზეზებიც ვიცით.

და რაც საქართველომ ამ მოკლე დროის განმავლობაში განიცადა, არ განუცდია თვისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში; შეიძლება ეს უკანასკნელი ტრაღედია მისი უმძიმესი იყოს შედარებით იმ უბედურებასთან, რომელიც ხშირად ყოფილა ხვედრი ჩვენი წამებული ქვეყნისა.—

წინად მტერი მტრად შემოდიოდა საქართველოში და მტრულად ეპყრობოდა მას, მტრის წესით, —და მტრის მტრობასაც ხომ არა ძვირად ზომა ჰქონია. ამიტომ იყო, რომ დამარცხებულ საქართველოსაც კი მტერი ვერა სპობდა და ჩვენი ქვეყანა კვლავ აღმდგარა ხოლმე ნანგრევთაგან.— უკანასკნელი მტერი კი საქართველოში „დიდი იდეის" სახელით, თითქოს მის გასაბედნიერებლად შემოვიდა. წინად მოღალატე მოღალატე იყო და რცხვენოდა მაინც თავის ღალატისა, ან და იგი იყო მოძალადე, განდგომილი, აღტყინებული პირადი თავმოყვარეობით, სარგებლობისა და ბატონობის სურვილით. დღევანდელი ქართველი მოღალატე კი პირმოთნე, უსინდისო და უსირცხვილო გაიძვერაა, რომელიც აგრეთვე „იდეის" სახელით ანგრევს სამშობლო ქვეყანას, მახვილსთ სპობს მშობელ ერს.—

ბოლშევიკებს მთელს ქვეყანაზედა ჰყავსთ მომხრენი და მათაც, რასაკვირველია, რუსეთის „ამხანაგების" მხარე უჭირავსთ, რომლებიც თითქოს „ჩაგრულთა" და „დამაშვრალთა" სამოთხესა ჰქმნიან რუსეთში, და არა ნამდვილ ჩაგრულ და მოწამე ერთა და ადამიანთა. —დიდი ომის შემდეგ მთელი კაცობრიობა დაჩოქილია და გატეხილი, სინდისმა მისმა იკლო, ენერგია, ნების-ყოფა აღარ არსებობს, რომ გაისმას ძლიერი ხმა, დამცველი წამებულთა, წინააღმდეგ ძალ-მომრეობისა და მხეცობისა.

ამ პირობებში ანადგურებენ რუსები საქართველოს და სხვა დაპყრობილ ერთაც, ამ გარემოებაში გვიხდება ჩვენც და სხვათაც ბრძოლა, თავის დაცვა,— მცირე რიცხოვან ერთ ბრძოლა ათიათასჯერ უფრო ძლიერ მტერთან, და შედეგებიც ამ ბრძოლისა მწარეა და დამაფიქრებელი.

ვერც მტრის შემოსევის შემდეგ შევსძელით ისეთი ბრძოლა, რომ აგველაგმა განმანადგურებელი მოქმედება მისი. დიდი, სახელოვანი ეპიზოდი ქართველობის თავის დაცვისა ამ უმსგავსო მტრის წინააღმდეგ იყო ბრძოლა სვანეთისა, ხევსურეთისა, უაღრესად კი ქაქუცა ჩოლაყაშვილისა და მის შეფიცულთა. მათ ძველის წესით იბრძოლეს, გმირულად და თავგანწირულად, უკანასკნელ ძალთა აღმოწურვამდე, და სამარადისო სახელი დასტოვეს. მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც მტერს დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებულმა პარტიამ სხვა პარტიებთან და ჩოლაყაშვილთან შეთანხმებით მთელი ერის აჯანყებაც კი სცადა 1924 წელს, აჯანყება მოუმზადებლად, ტყუილ იმედებზედ დამყარებული, და მიუხედავად აგრეთვე ამ პარტიათა თავ-განწირული ბრძოლისა და გაღებული დიდი მსხვერპლისა.

და ბრძოლაში დამარცხებულ, დასუსტებულ საქართველოს კიდევ უფრო მკაცრად მოეპყრო მტერი, ვიდრე 1921 წელს პირველად დაპყრობილსა.

არ იკმარა მტერმა ის, რომ მან საქართველოს მიწა-წყალი, მამა-პაპათა სისხლით მორწყული საუკუნეთა განმავლობაში, გააჩუქა, ან სადაოდ გახადა; რომ მან თვისი ძალ-დატანებითი „სოციალიზმით" მთელი ერი შიშველი და მშიერ-მწყურვალი დასტოვა ამ სიტყვათა ნამდვილი მნიშვნელობით. მან ამოსწყვიტა საუკეთესო ნაწილი ქართველი ერისა, საუკუნეებით შექმნილი ჯიში ქართველი ადამიანისა, მატარებელი ტრადიციათა, კულტურისა; მან მოსპო ყველა ეროვნული ქართული დაწესებულება, ან და გაკრიმინალებული და უვიცი კომმუნისტებით აღავსო იგი, როგორც მაგალითად ქართული უნივერსიტეტი. მან შერყვნა რჯული და დაამხო ეკლესია, დაანგრია ტაძრები, ჯვარი აღძარცვა მათ. მან მოსპო ზნეობა, აღმოუფხვრა ძალით, პროპაგანდით, სკოლით ნათესავური გრძნობა და სიყვარულიც კი ბევრ ქართველ ახალ-გაზრდას, რომელსაც დედ-მამა, ძმა და დაი, ნათესაობაც აღარა სწამს. მან მოსპო დღესასწაულები, ოდეს ხალხს ერთი წუთით მაინც შეეძლო დასვენება, დავიწყება მწარე ბედისა, თვისი ღვთის სიტყვის მოსმენა ტაძარში, ან მოლხენა. მან მოსპო ოჯახი და სულიერ გაპროლეტარების გზაზედ დააყენა მთელი საზოგადოება, „გააპროლეტარა" რა იგი ნივთიერად. მან ჯაშუშობა ძალით გაჰხადა ცხოვრების იარაღად, საკადრის საქმედაც კი გადააქცია, და გააჯაშუშა საზოგადოების დიდი ნაწილი, რათგან ადამიანს აღარა შეარჩიჩეს რა მისი პიროვნებისაგან გარდა თავის გადარჩენის ერთად-ერთი სურვილისა.—

ამავე დროს ქარხნებს აშენებენ, ელექტრონის სადგურებს, კიდევ ბევრ სხვა რაღაცებს, ჩვენი ერისა და მთელი ქვეყნის მოსატყუებლად. ყოველივე ეს კი მათ ბნელ მიზნებს ემსახურება, მათი ბატონობის განგრძობას, თორემ ვისთვის არის ეს ,,აღმაშენებლობა'', როდესაც საუკეთესო ქართველობა დაკარგულ საფლავთა შინა განისვენებს და, ცოცხლად შთენილნი კი ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინში ეწევიან მონურ შრომას. და ხსნა რომ არ აითგან არის, ხიგი სიკვდილს ნატრობს, ხოგი კი თავს ირწმუნებს, რომ განივლის მძიმე დრო, გვეღირსება რამე, და შაშინ ,,აღშენებულიც'' ქართველს ერს დარჩებაო: იმედი უძლურისა და სასო-წარკვეთილისა!

ათმავე წელმა განვლო, რაც საქართველოს მთავრობამ და ქართული საზოგადოების ნაწილმა უცხოეთს შეაფარა თავი. ბოლშევიკებისაგან შევიწროებულთა შეუწყვეტელმა გადმოხვეწამ განადიდა ქართული ემიგრაცია. და რა გავაკეთეთ, რა მოვიმოქმედეთ ჩვენი უბედური ქვეყნისათვის? აღასრულა მთავრობამ ის მოვალეობა, რომლის აღსასრულებლადაც იგი უცხოეთში გამოვიდა: ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესება ქართული საკითხითა და ემიგრაციის შეკავშირება, მოვლა, ერთი მხრით, და საქართველოში ჩუმი, მაგრამ გონიერი მოქმედება მეორე მხრით? —არა! მართალია ძნელია დღეს ქართული საკითხით დაინტერესება ევროპის სახელმწიფოთა, მაგრამ მთავრობა ყოველთვის მოქმედებდა უცხოეთში არა როგორც წარმომადგენელი და ხელ-მძღვანელი ერისა, არამედ როგორც ს. დ.-იული პარტიის ქართული სექციის კომიტეტი და ამან მას დაუკარგა ყოველივე ნდობა ყველგან, და შეიძლება იქაც, სადაც ოდნავ აქვს უფრო ხელის-გამართვა განსაზღვრული მიზნით, ვიდრე ნამდვილი სიმპატია. —ნაცვლად ემიგრანტთა ნამდვილი შეკავშირებისა, პარტიათა ნამდვილი თანამშრომლობისა — ფიქტიური ,,საერთო ფრონტი'' ყმად-დასახლებულთა, და დევნა მამულიშვილთა, ცილის-წამება, დაბეზღება —ერთად ერთი მიზნით, რომ ბატონობას არავინ შეეცილოს მომავალ თავისუფალ საქართველოში.—ეს იყო ,,საქმიანობა'' მთავრობისა, იმ პარტიისა რომელსაც ის ეკუთვნის, და მთელი ,,ფრონტისა'', თუ საქმიანობას არ ვუწოდებთ გამოცემას გაზეთებისა, ჟურნალებისა და სხ., რომლებიც შეიცავენ უმეტესად ძალიან მდაბალი ღირსების ლიტერატურულ მემკვიდრეობას შთამომავლობათათვის გადასაცემად.

ჩვენი ვალია დავუფიქრდეთ როგორც ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, ისე ჩვენ საკუთარს, ემიგრანტულს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა უშიშრად, პირდაპირ თვალში შეხედვა ჭირისა და განცდა ერის ტრაღედიისა, და ეჰ, უცხოეთში გულითგან გამოდევნა შხამიან გველთა, რომელნიც სწამლავენ ჩვენს გონებას, გრძნობას, მთელს ჩვენს სულს.

შეიძლება კიდევ დიდხანს დარჩეს ჩვენი ქვეყანა ჯალათთა ხელში და კიდევ ბევრმა ჩვენთაგანმა ჩაჰყაროს თავისი ძვლები უცხოეთის მიწაში, მაგრამ ოდეს დადგება სანატრელი დრო საქართველოს თავისუფლებისა, ცოცხლად შთენილნი მრთელი, კეთილშობილი სულით უნდა დაუბრუნდენ ქვეყანას და სხვა შეგნებით და სხვა გრძნობით შეუდგენ დანგრეული ქვეყნის აღშენებას, რომ მალე დაავიწყონ ერს და თვითონაც დაივიწყონ განვლილნი წელნი მოწამეობისა.

დიდი იმედი ჩვენი ის არის, რომ თვალ-საჩინო ნიშნები ამისა უკვე სჩანს...

მ. წერეთელი.

კანონი და ადათი.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებას და სახელმწიფოებრივ განმტკიცებას სხვა და სხვა ჯურის მებრძოლი და მუშაკი სჭირია. ის, ვისაც ხურს მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს, მოვალეა გაიგნოს სახელმწიფოს აუნებას, მის შინაარსს და უმთავრესს იურიდიულ საკითხებს. მე მინდა იმ პირთ, რომელთაც არა აქვსთ შესაძლებელობა ამ საკითხების აკადემიური მეცნიერულისა, რამდენადაც შეშიძლია, დახმარება გავუწიო. ამ მიზნით განვიზრახე დავსწერო მთელი რიგი იურიდიული წერილებისა, რომლებშიც შეკვნდები რაც შეიძლება მარტივად გავაცნო მკითხველს ზოგიერთი იურიდიული საკითხ.

მდაბიო გადმოდგომა იურიდიული მეცნიერებისა მეტად ძნელი საქმეა, რათგან ეს მეცნიერება მთლად რთული პრინციპებისაგან შედგება. ამიტომ, თუ სავსებით მიზანს ვერ მივაღწევ, მკითხველს შენდობას ვსთხოვ.

ეს პირველი წერილი, როგორც სათაურით გან სჩანს, კანონს და ადათს ეხება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში ხისლის და სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის შედეგინის დრეს ერმად უნდა იქმნას შესწავლილი საქართველოში არსებული ადათები, ვინაითგან ქართველი ხალხის ობიექტიური სამართლის უმთავრესი შემადგენელი ელემენტი ხეორედ ადათებია. ამიტომაც ჩვენი მომავალი პოზიტიური სამართალი ამ ადათებს დიდად უნდა დაემყარეს. აი რატომ არის მიზან-მეწონილი, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ ახლავე იცოდეს, თუ რა არის კანონი და რა არის ადათი.

ფართო აზრით კანონი ობიექტიური სამართალია 1). ვიწრო აზრით კი კანონი ნიშნავს სახელმწიფოს მიერ სავალდებულოდ გამოცხადებულ წესს. შეიძლება შემდეგნაირი განმარტება: კანონი სამართლის ყოველი ის წესია, რომელსაც სახელმწიფო განზრახ და შეგნებით აწესებს და სავალდებულოდ ხდის.

ბუდსმიტი კანონს ამნაირად განმარტავს: კანონია ის, რასაც საზოგადოებრივი ავტორიტეტი აცხადებს სახელმძღვანელო სამართლად. უკვე ციცერონის დროს კანონს უწოდებდენ: jus scriptum დაპირდაპირებით ადათისა, რომელიც მოწათლეს: jus non scriptum-ად 2).

რასაკვირველია ეს კანონის შინაარსს კი არა ხსნის, არამედ მხოლოდ მის გარეგნულ ფორმას განმარტავს და აღნიშნავს, რომ კანონი მუდამ ნაწერია.—

ფონ ვეტერი ამბობს: «მაშინ რომელსაც დაწერილი სამართალი კანონია, დაუწერელი სამართალი ადათია. კანონს დაწერილი სამართალი იმიტომ ეწოდება, რომ ის წარმოშობისთანავე დაწერილია; ადათი კი იშვება და ინახება ხალხის მეხსიერებაში» 1).

ჩემს მიზანს შეადგენს, მკითხველს კანონსა და ადათს შორის განსხვავება გავაცნო, მათი მნიშვნელობა და ხასიათი ურთი-ერთს შევადარო.

1) შემდეგ წერილებში განვმარტავ, თუ რას ნიშნავს ობიექტიური სამართალი, პოზიტიური სამართალი და აგრეთვე კერძო და საზოგადოებრივი სამართალი.

2) იხ. დიგესტეები (12) 2. ციცერონი II. 54.

3) Von Wetter: Du droit non écrit. p. 19-20.

ამ საკითხზედ მრავალი თეორია არსებობს. მათი გადმოცემა შორს წაგვიყვანდა. უმთავრესი თეორია, გამოგებული გერმანიაში, და რომელმაც 1899 წლითგან Geni-ს იზეზულგის წყალობით საფრანგეთშიც მოიკიდა ფეხი, ეგრედ-წოდებული რომანო-კანონიური თეორიაა. —

სამართალი ადათით დაიწყო, ამბობს პროფესორი მორიო, და კანონი მხოლოდ მის შემდეგ გაჩენილი ისტორიული ფაქტიაო. ეს სავსებით სწორია. მაგალითად, რომში XII ტაბულამდე მხოლოდ ადათები არსებობდენ. ასევე იყო ათინაში სოლონის კანონმდებლობამდე. საქართველოში ბექა და აღბუღას, გიორგი ბრწყინვალის და ვახტანგ მე-VI-ის კანონმდებლობამდე სამართალს მხოლოდ ადათები შეადგენდენ და ზემო-აღნიშნულ კანონმდებლთა ნაწერ კანონებსაც ადათები სავსებით არ მოუსპიათ. არც XII ტაბულამ მოსპო სავსებით ადათები, პირიქით, უმთავრესნი მათგანნი ძალაში დარჩენ. მაგალითად: მეუღლეთა შორის ქონების გასაჩუქრების აკრძალვა; მამის უფლება; ახლო ნათესავთა შორის შეუღლება და სხვა. გერმანია შორის უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: მათ მე-VI. ქრისტ. შემ. დაწერილი კანონები ჰქონდათ და ძალაში იყენენ იგინი, მაგრამ შემდეგ ეს კანონები ადათებმა მოსპეს და მათი ადგილი დაიჭირეს.

ადათების წინააღმდეგ რეაქცია დაიწყო მეXVIII საუკუნეში. იმ ავტორებმა, რომელთაც სურდათ საზოგადოებრივ წყობილების დამყარება მოქალაქეთა ინდივიდუალურ უფლებებზედ, კანონებში დაინახეს ამ უფლებების გარანტია. სწორედ ამ მწერალთა ზეგავლენით შეიქმნენ დღევანდელი დიდი კოდექსები, რაითაც კანონს უმაღლესი ძლიერება მიეცა.—

მაგრამ ნაწერ კანონებს არ ძალუძთ ყველა მოვლენათა გათვალისწინება. სისხლის სამართალში შესაძლებელია და საჭიროდაა ძველი პრინციპის: nulla poena sine lege (არავითარი სასჯელი უკანონოდ)-ს მიღება და განსორციელება, რათგან დაუშვებელია დასჯა იმ საქციელისა, რომლის შესახებ კანონი სდუმს. ხოლო სამოქალაქო სამართლის დარგში მრავალ შემთხვევისათვის კანონი არ არსებობს, მაგრამ მოსამართლე აინც ვალდებულია განაჩენი გამოიტანოს. აქ მოსამართლე ხელმძღვანელობს სასამართლოდ განაჩენებით ანალოგიურ შემთხვევებში, ე.ი. მით, რასაც რომაელი იურისტები Jus fori-ს უწოდებდენ, მაგრამ უფრო მეტად ადათით. ეს იმიტომ რომ ადათი jus fori-ზედ ძლიერია, ვინაითგან, თუმცა ზეპირი, ის მაინც კანონია. აი რატომ ამბობს ადათს დიდ მნიშვნელობას ბამოჩენილი გერმანელი იურისტი და პანდექტისტი პუხტა.

კანონს ის უპირატესობა აქვს ადათისაგან, რომ იგი ნათელია, მკაფიო (რასაკვირველია თუ კანონმდებელი ნიჭიერია). ადათი კი ხშირად ბუნდოვანია. კანონი მტკიცეა და მოსამართლესათვის ძლიერი დასაყრდომელი. მაგრამ კანონს შემდეგი დიდი ნაკლი აქვს: იმიტომ რომ დაწერილია იგი, ძნელი შესაცვლელია. ხშირად საუკუნეებით ყოცვლელი რჩება კანონი. ცხოვრება მუდმივი გარდაქმნის პროცესშია და ნაწერი კანონი კი ამ პროცესს არ განიცდის. იგი ყოველთვის ცხოვრებას ჩამორჩება და ხშირად მის მავნე ფაქტორადაც იქცევა ხოლმე. მაგალითად: ნაპოლეონის კოდექსი ას წელზედ მეტია განაგებს საფრანგეთის იურიდიულ ცხოვრებას. განა ასი წლის განმავლობაში არავითარი გარდაქმნა არ მოხდა საფრანგეთის ცხოვრების ეკონომიურ და ზნეობრივ სფეროში? დიდი. და კანონი, სამართალი ხომ საზოგადოების ვითარებას უნდა იყოს შეგუებული? თვით მისი განვითარების წყარო თვითონვე ხომ არაა, არამედ საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ-ზნეობრივი ფაქტორები.—ვალეს კანტორის სამოქალაქო კოდექსი 1819 წელს არის დაწერილი და ასი წლის განმავლობაში მისი შეცვლა ვერ მოახერხეს 1912 წლამდე. და მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი.

ადათს კი ის უპირატესობა აქვს, რომ, წარმოშობილი ცხოვრების პროცესში, იგი ცხოვრების ევოლუციას, მის გარდაქმნათა პროცესს განიცდის.

კანონის ნაკლი კიდევ ისაა, რომ იგი სავსებით დამოკიდებულია კანონმდებლზედ. თუ კანონმდებელი უნიჭოა, უვიცი, ფანატიკოსი, კანონიც უვარგისია. ხშირად კანონმდებელი ერის წიაღითგან სრულიადაც არაა წარმოშობილი. შესაძლებელია სალსის მტერიც კი იყოს იგი. მაგალითად: რუსის კანონმდებელი საქართველოში; ძალით გაბატონებული რევოლუციონური ავტორიტეტი, სადაც არ უნდა იყოს იგი. ამნაირი კანონმდებელის კანონები სალსისათვის, ცხოვრებისათვის აუცილებლად მავნე მოვლენაა.

ადათი კი თვით სალსისაგან და მის მოთხოვნილებათა განაა შექმნილი. ამიტომ შეუძლებელია ის ცხოვრების საჭიროებათ არ გეუებოდეს და მათ გინააღმდეგებოდეს. რომაელთა განმარტება კანონისა: lex est quod populus ubet atque constituit (კანონია ის, რასაც სალსი ბრძანებს და დაადგენს) უფრო ადათის შესახებაა სამართლიანი. საფიქრებელია, რომ უპირველესად, იმ დროს, როდესაც რომაელთა ობიექტიური სამართალი მხოლოდ ადათი იყო, ზემოაღნიშნულ აზრს ისინი ადათის შესახებ გამოთქვამდენ, ხოლო შემდეგ სამართლის მეცნიერებმა ეს ნაწერ კანონზედ გადაიტანეს.

ადათის დიდი ღირსება კიდევ ისაა, და ამას ისტორია მოწმობს, რომ იგი ცხოვრებისათვის საკმარისია: შეიქმნება რა საზოგადოებაში ახალი მოთხოვნილება, ახალი იურიდიული დამოკიდებულება, მასთანვე ერთად იბადება ახალი ადათიც, მაშინ როდესაც ამავე მოთხოვნილების შესახებ ხშირად მხოლოდ ასი წლის და მეტის შემდეგაც იწერება ხოლმე კანონი. ამიტომ ნაწერი სამართალი ცხოვრებისათვის არა დროს საკმარისი არ არის. იგი საზოგადოების ყველა იურიდიულ დამოკიდებულებათ ვერ საზღვრავს და ყოველთვის საჭიროებს, როგორც ზემოდა ვსთქვი, ადათის ან სასამართლოთა იურისპრუდენციის (usus fori) დახმარებას.

ადათი კანონად იქცევა მაშინ, როდესაც მას საკანონმდებლო ავტორიტეტი დასწერს და სახელმწიფო სავალდებულოდ გამოაცხადებს.

24 თებერვალი

ცას ბნელსა, თითქოს განრისხებულსა,
შავი ღრუბლები ახვევს სუდარას
და მის კალთებში ჩაფიქრებულსა
მალავს ნაწამებს სიონს ჰაღარას.

მტერი ურჯულო და ტურტლიანი
ჰბილწავს, ესევა კრწანისის ბაღებს
და მისი ხელი თბილ სისხლიანი
დედა ქალაქის კარებს კვლავ აღებს.

ჰაბუკთა გმირთა თავგანწირული
ბრძოლა უსწორო ყუჩდება ნელა
და მათის სისხლით უხვად მორწყული
სტირის კოჯორი და ტაბახმელა.

აღარ გაისმის ტფილისის ქედზედ
მოხუცი მეფის რისხვით ძახილი,
აღარ ელვარებს მადლიან მზეზედ
სამას ხევსურთა ბასრი მახვილი.

ცა ბნელი, თითქოს დამუქრებული,
შავი ღრუბლების აფენს სუდარას,
სისხლიან ხელით გამხეცებული
ვერაგი ანგრევს სიონს ჰაღარას.

მაგრამ ჰაბუკი მხნე, უძლეველი,
თეთრი გიორგი კვლავ გამოჩნდება
და ფირუზ ცაზედ შავი ღრუბელი
ბრძოლის ქარბუქით გაიფანტება.

მ. დ—ნი.

კანონი ხშირად სალსის ნებით არაა დაწერილი. ადათი კი ყოველთვის სალსის სურვილის და ნების შედეგი. ეს სურვილი და ნებისყოფა, მართალია, საკანონმდებლოდ არაა გამოთქმული, არამედ, როგორც რომაელები ამბობდენ, ჩუმის თანხმობით. დიგესტებში ადათების შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: tacita civium conventio; tacito concessu populi (მოქალაქეთა, სალსის ჩუმის თანხმობა)(1).

გუდსმიტი ამბობს: ადათობრივი სამართალი სალსის რწმენაა შესახებ იმისა, თუ რა უნდა იყოს მიღებული და ცხოვრებაში გატარებული, როგორც სამართალი. ამიტომაო, დასძენს იგი, ადათოკრივ სამართალს იგივე ძალა აქვს, რაც დაწერილსაო. ჭერმოდენესი ამბობს: ადათი, შემოღებული დიდი ხნითგან და ძალაში მყოფი რამდენიმე წლის განმავლობაში, უნდა განვიხილოთ როგორც დადასტურებული მოქალაქეთა ჩუმი თანხმობით, რითაც მას იგივე ძალა აქვს, როგორც ნაწერ კანონს (2) ცნობილი ფრანგი მეცნიერი გუმენი-ც ადათს მოქალაქეთა ჩუმი იანხმოების გამოხატულებად სთვლის (3).

იმით, რომ ადათი სალსის სურვილის ნამდვილი გამოსახულებაა, კანონზედ მაღლა სდგას იგი.

მე-18 საუკუნეში ადათის მოწინააღმდეგეებმა, რომელთა შორის უფრო სოციოლოგები, ანუ ეროვნულ ნიადაგს მოკლებულები, იყვნენ და არა იურისტები, დიგესტების ზემოდ მოყვანილი თეორია სალსის «ჩუმ თანხმობაზედ» უკეთ აგდეს. მაგრამ მე-19 საუკუნეში დიდი იურისტები ანტიურ თეორიას უბრუნდებიან და პუხტას თსუხულების შემდეგ არამცთუ «ჩუმ თანხმობაზედ», არამედ სალსის იურიდიულ რწმენაზედ, იურიდიულ მსოფლმხედველობაზედ (conviction juridique du peuple) ლაპარაკობენ. ეს თეორია ისტორიულმა სკოლამ წამოაყენა.

ადათი შესაძლებელია მთელ ტერიტორიაზედ იყოს გავრცელებული. მაგალითად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზედ მიღებული იყო სისხლის სამართლის დარგში მოდაგეთა დავის გადაწყვეტა ხმალში გასვლით. ამას სასამართლო დაადგენდა ხოლმე (4). შესაძლებელია ერთისა და იგივე ქვეყნის ყოველ პროვინციაში ერთნაირი საგნის შესახებ სხვა და სხვა კუთხური ადათი არსებობდეს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფს თავისი საკუთარი ადათები ჰქონდეს. მაგალითად, საქართველოში ამქარს განსაკუთრებული ადათები ჰქონდა. ხოლოდონ ლეონიძემ ამქართა რეფორმა მოახდინა, მაგრამ არა სჩანს, სამართლის მსრივ თუ რაიმე ცვლილება შეიტანა, ან თუ რაიმე ადათი კანონად აქცია.

გამოჩენილი იურისტი სავინი ამბობს: ადათს შეუძლია შეავსოს, შეასწოროს ან უარ-ჰყოს კანონი. ულპინიუსი ამბობს: ადათს კანონის ძალა აქვს და თუ კანონი არ არსებობს (ამა თუ იმ შემთხვევისათვის), ადათი იჭერს მის ადგილსაო (5).

ესევე შეუძლია კანონს ადათის მიმართ. როდესაც კოდექსი იწერება, იგი მრავალ ადათს სრულიად აუქმებს, მრავალს კი სწერს, ე.ი. შეაქვს თავის ერთ-ერთ მუხლად და ამით ადათებს კანონის სახეს ამლევს. აი მოკლედ განხილვება ნაწერ კანონსა და დაუწერელ, ზეპირ კანონს, ე.ი. ადათს შორის.

ლეო კერესელიძე.

---

1) D (დიგესტები) (1.3) 32; 1,35.

2) D(1.3) 35.

3) Esmein, Histoire du droit français ეგ. 749-770.

4) აი ერთი მრავალ მაგალითთაგანი: როდესაც 1653 წ. ქართლ-კახეთის მეფის როსტომის მოვლილი, ლუარსაბ ბატონიშვილი დიდებულებმა ყარაიაზში ღალატით მოჰკლეს, საიომ ბარათაშვილმა ეს მკვლელობა ბაირდურ თუმანიშვილს დასწამა. რათგან საკუთი არ იყო, როსტომ მეფემ ბრძანება ჯასცა, ორი თავადი ხმალში გასულიყო. ხმალში ორთავე დაიჭრა და თუმანიშვილი გამართლებულ იქმნა. ამის შესახებ იხ. Brosset, Histoire de la Géorgie, Introduction p . CXLIV.

5) D (დიგესტები) (13) 33.

ინდუსტრიალიზმი და სოციალიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ წლებში წარმოების საშუალებათა ტექნიკური გაუმჯობესება დიდი სისწრაფით გაიზარდა. განსაკუთრებულ შედეგებს მიახწია ამ მხრით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ომის წყალობით აქ დიდძალი კაპიტალი დაგროვდა, რამაც მეტად შეუწყო ხელი ამ ბუნებით მდიდარ ქვეყანას, ეკონომიური განვითარებისათვის ფართო ასპარეზი შეექმნა და მსოფლიო ეკონომიკის ჰეგემონია ხელში ჩაეგდო (უკანასკნელი წლის კრიზისს ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ). აქ დაიბადენ და შემდეგ ევროპაში გავრცელდენ წარმოების მოწყობის ახალი ფორმები, მეთოდები, რომლებიც „მაშინიზმად", „რაციონალიზაციად" „სტანდარტიზაციად" არის ცნობილი.

ამერიკული ინდუსტრიალიზმი მიზნად ისახავს მეცნიერების უკანასკნელ მიხწევათა გამოყენებას წარმოებაში მეტ პრაქტიკულ შედეგთა მისახწევად. შრომის განაწილებამ და სპეციალიზაციამ მრეწველობაში აქ მიახწია განვითარების უმაღლეს საფეხურს. ამავე დროს ამერიკელი მეცნიერი-ინჟენერი ტეილორი თავის თხზულებაში „შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპები" ჰქმნის მთელს სისტემას შრომის უკეთ გამოსაყენებლად, მის შეწყობა-შესათანხმებლად მექანიკურ ძალასთან.

კაპიტალის სიუხვის წყალობით ამერიკამ მოახდინა მთელი სახელმწიფო მრეწველობის განახლება, გაფართოება და გაუმჯობესება. ეს გაცხოველებული გიგანტური მუშაობა, საბოლოოდ ორი მარტივი, მრეწველობისათვის მუდამ კაპიტალური მნიშვნელობის მქონე, შემდეგ მიზანს ემსახურება: ნაწარმოების თვითღირებულების შემცირებას და მის დამზადებას მასიური დიდი სერიებით. საბოლოოდ, ამერიკის შეერთებული შტატები არა თუ აკმაყოფილებს შინაურ მოთხოვნილებას, არამედ მისი სამრეწველო და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები დიდ მეტოქეობას უწევს უცხო ბაზარზედ ადგილობრივ ნაწარმოებს. დღეს ყველასათვის ცხადია, თუ რა ნაყოფი მოუტანა ამან ქვეყანას. ვაჭარ მრეწველთა კლასის ეკონომიურ გამლიერებასთან თანმიმდევრობით გაუმჯობესდა მუშათა კლასის მდგომარეობაც. ამერიკული მაშინიზმის წყალობით გაიზარდა მუშის შრომის ნაყოფიერება, რამაც საშუალება მისცა მრეწველობას მუშის ხელფასი გაედიდებია. თვით მრეწველობა უშუალოდ დაინტერესებული იყო მუშისათვის მაღალი ხელფასი მიეცა. რათა ამით ერთი მხრით გაეზარდა მყიდველობითი ძალა მომხმარებელთა და მეორე მხრით სამუშაო საათების შემცირებით (8 საათი დღეში) მუშისათვის თავისუფალი დრო მიეცა პირადი სიამოვნებისათვის გამოსაყენებლად და მით წაექეზებია იგი ფულის დასახარჯავად.

საერთოდ მაშინიზმის განვითარებაში ყველა ელემენტი სოლიდარულად არის დაინტერესებული. კაპიტალს აქვს მეტი მოგება, იგი ჩქარი ტემპით იზრდება და ამით მისი სამოქმედო ასპარეზი ფართოვდება; მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დღე მცირდება და ხელფასი კი იზრდება; მოხმარებელი საქონელს იაფ ფასებში ყიდულობს და მას თავისი გემოვნების მიხედვით საქონლის არჩევის დიდი საშუალება ეძლევა; ტექნიკოსთა და მეცნიერთა შრომებს წარმოების გაუმჯობესებისათვის ფასი და ბაზარი აქვს და, ბოლოს, სახელმწიფო შემოსავალი იზრდება, ერი პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერდება.

რამდენად გასაკვირველია ამის შემდეგ, რომ სოციალისტები რაციონალიზაცია-სტანდარტიზაციის წინააღმდეგ იბრძვიან! ამერიკის შრომის კონფედერაციის ოლამჯდომარე მ. გრეი გამოსთქვამს შიშს მაშინიზმის განვითარების წინაშე, რომელიც მისი აზრით უმუშევრობას იწვევს. ის მოითხოვს, რომ ყოველი ახალი მეცნიერული მიხწევა და გამოგონება შრომის კონფედერაციის კონტროლს დაექვემდებაროს და მის წინასწარ ნებადაურთველად არ იქმნეს პრაქტიკაში გამოყენებულიო. ასეთივე პრეტენზიები გამოაქვეყნეს საფრანგეთში შრომის საერთო კონფედერაციამ ლ. ჟუოს თავმჯდომარეობით და ინგლისში ტრედ-უნიონებმა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საკითხი მაშინიზმის განვითარებისა არ ახალია, ძველია. ჯერ კიდევ დაახლოვებით ერთი საუკუნის წინად სოციალისტებმა გაილაშქრეს წარმოებაში პირველ ტექნიკურ გაუმჯობესებათა წინააღმდეგ. ცნობილია ქ. ლიონში ჟაკარის პირველი საქსოვი მანქანის და პარიზში საკერავი მანქანის შემოღების წინააღმდეგ გამოსვლები. ასევე იყო ინგლისში და სხვაგან.

სოციალისტები ამ საკითხში აშკარად ყალბ და შემცდარ პოზიციაზედ დგანან. მართალია, მაშინიზმის სწრაფი განვითარება იწვევს დროებითსა და ნაწილობრივ უმუშევრობას, მაგრამ მისგან გამოწვეული უმუშევრობა ყოველთვის ხანმოკლეა და დღეს ბევრგან გაერცელებულ უმუშევრობას (ამერიკაში 5 მილ. უმუშევარი, ინგლისში 2 მილ. და გერმანიაში 3 მილ. ნახევარი) მაშინიზმთან საერთო თითქმის არაფერი აქვს. რაციონალიზაციის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ შრომის ჯილდოს ზრდა და სხვა ყოველგვარი ეკონომიური სიკეთე პირდაპირი შედეგია სამრეწველო იარაღთა გაუმჯობესების და მექანიკური ძალის რაციონალურად გამოყენების და რომ მომავალში ხელფასი თანდათანობით გაიზრდება წარმოების ახალი წესების შემოღებით.

თავის-თავად ცხადია, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მაშინიზმის განვითარებას, რისგანაც მთლიანად არის დამოკიდებული კაცობრიობის ეკონომიური წინსვლა. პირიქით, ევ-

ოპის ყველა ქვეყნები სცდილობენ კვალ-და-კვალ მისდიონ ამერიკას, მისგან მიხწეული გაუმჯობესებანი გადმოიღონ და მათ თავიანთი ახალ-ახალი აღმოჩენანი დაუმატონ. ისინი იძულებულნი არიან ასე მოიქცენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უცხო მეტოქეობას ეროვნული მრეწველობა ვერ გაუძლებს, შინაურს უცხო ძალა დაიპყრობს. საბაჟო კედლები ასეთ პირობებში უმლურია, ქვეყანას გაგოტრებისაგან ვერ იხსნის. თვით საბჭოთა ქვეყნებში არის დიდი და გატაცებული მუშაობა ტეილორის წესით, შრომის რაციონალიზაციით, მაგრამ ამის განსახორციელებლად მათ აკლიათ ორი მთავარი, აუცილებელი ელემენტი —კაპიტალი და მომზადებული ტექნიკური ძალები. ამიტომაც მათი ცდები ამ მხრივ ქაღალდზედ რჩება და ზოგიერთი შრომისა და სახელმძღვანელოს გამოცემით თუ განისაზღვრება.

ჩვენი აზრით სოციალისტები თავის გამოსვლებით ამ საკითხში ერთი მხრით სცდილობენ უმუშევართა ჯარი მიიმხრონ, ხოლო მეორე მხრით მათ ამოძრავებსთ შიში, რომ მუშამოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ეკონომიური მოღონიერება შეჰქმნის სოციალისტების საწინააღმდეგო განწყობილებას და მათ მშრომელთა მასსა საბოლოოდ ჩამოსცილდება.

ისე როგორც სხვა საკითხებში, აქაც სოციალისტები ცხოვრების წინსვლას ებრძვიან; ისინი რეგრესის მოციქულებად გამოდიან. მათ ჩვენ მიერ კრიტიკულ შეფასებას ეს ერთი დიდმნიშვნელოვანი და მძიმე საბუთიც უნდა დაერთოს.

დ. კლდიამშვილი.

დასავლეთი საქართველოს ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ.

წერილი მეორე.

იმ წანამი, როდესაც რუსეთის ისტორიაში «არეული წანა» (სმუტნოე ვრემია) ეწოდება, რუსის «აბუნტებული» ხალხი მონასტრების და ეკლესიების შეურაცხ-ყოფით, წაბილწვით და გაძარცვით არა კმაყოფილდებოდა. შეიარაღებული ბრბოები შეუცვივდებოდენ ხოლმე მონასტრებს, დააგებდენ იატაკზედ წმინდა ხატებს, ზედ გააწვენდენ მოლოცნეგს და ისე აუპატიურებდენ, სანამ ტანჯულ მსხვერპლს სული არ ამოხდებოდა. ბოლშევიკების მზაკვრობა ყველამ უწყის და მაზედ ლაპარაკი ზედ-მეტია. აქ მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს დიდი ოქმითან. ენერალი კრასნოვი თავის წიგნში «ორთავიან არწივითგან წითელ დროშამდე» მოგვითხრობს მემდეგ ამბავს: ერთ სოფელში, რუსეთშივე, შეცვივდენ რუსის ჯარის-კაცები, დაიჭირეს ერთი ახალგაზრდა 16 წლის გოგო და ასზედ მეტმა ჯარის-კაცმა გააუპატიურა. გოგოს სული ამოხდა იმ დროს, როცა ზოგი კიდევ რიგში იდგა და ერთმა ჯარის-კაცმა სთქვა, თავი ანებეთ აწლა, უკვე მოკვდაო. მაგრამ რამდენიმემ მიცვალებულს ხელი შეაზო და წამოიძახა: არა უშავს რა, კიდევ გამოდგება, რათგან ჯერ ისევ თბილიაო, და განაგრძეს მათი ენელი, სადისტური საქმე.

სად და როდის ხალხს, ქრისტიანს თუ არა ქრისტიანს, თუნდაც კერპთ-თაყვანის მცემელს ჩაუდენია ამისთანა საზიზღრობა და სიბოროტე? არც ერთი ხალხის ისტორიამ ამისი მსგავსი მაგალითი არ იცის. ალექსანდრე ბატონიშვილი ბრძანდება ხოლმე, რუსნი ბუნებით მუსთალნი არიანო. მართალია, მუსთალნი არიან და ამასთანვე ბუნებით სადისტები. თუ არ ამითი, მაშ რითა შეიძლება ახსნა იმ სიმხეცის, სიბოროტის და ვერაგობის, რომლის მაგალითებით სავსეა რუსის ხალხის ისტორია? სავსე კი არა, არამედ მთელი მათი ისტორია მხოლოდ უსაზიზღრესი სადიზმია. რუსეთის მთელს ისტორიაში არ არსებობს არც ერთი დიდ-სულოვნოების ან სახელოვანი აქტის მაგალითი. ეს არ არის მხოლოდ ჩემი ან ეცხოელთა აზრი რუსების შესახებ. რუსეთის თანამედროვე უდიდესი მწერალი მერეჟკოვსკი თავის რომანში «14 ქრისტეშოსთვე» სწერს: «მე დავრწმუნდი, რომ რუსი მატყუარაა, ქურდი, ავაზაკი, კაცის-მკვლელი, სასიზღარი და საძაღო». ამისთანა გათახსირებული ბარბაროსის ხელში ჩააგდო ქართველი ხალხი მავმა ბედმა.

ბოლკოვნიკ პუსირევსკის მოხსენებაზედ 23 თებერვალს ენერალმა ველიამინოვმა მემდეგი ბრძანებით უპასუხა: დახოცილ სამღვდელოთა ოვამები წყალში არ გადააგდოთ, რათგან მეიძლება მდინარემ ისინი გამორიყოს და ამის დამნახველი ხალხი უფრო აღელვდებაო. მათი ოვამები მოზდოკში უნდა გაიგზავნოს და იქ იქმნეს დამარხულიო. ტოძრებში ჩასხმაზედ პუსირევსკის ველიამინოვმა დასტური დართო(1).

ბოლკოვნიკმა პუსირევსკიმ ბელადების დასატუსაღებლად ღალატს მიმართა. 4 მარტს ქუთაისითგან მიემგზავრებოდა იმერეთის გამგის თანამდებობითგან გადაყენებული ენერალი კურნატოვსკი. მის გასაცილებლად რუსებმა ნადიმზედ დიდებულები მიიწვიეს, რომელთა შორის მეამბოხეთა ბელადებიც იყვნენ. ეს უკანასკნელნი ნადიმზედ გულდანდობილნი მივიდენ და თითქმის ყველანი დაატუსაღეს. ხელითგან მხოლოდ ი. აბაშიძე გაუხლტათ. დატუსაღების დროს ხმნია წულუკიძემ დამბაჩა დაუსალა მაიორ მიზინს. სამწუხაროდ მას ვერ მოარტყა და მხოლოდ ერთი ჯარის-კაცი დასჭრა. მიტროპოლიტ ზოსიმე ქუთათელს დატუსაღების დროს ისე მხეცურად მოექცენ, რომ საბრალო მოხუცი ბული ჭკუაზედ შეიშალა. ბატონიშვილ დარეჯანთან ერთად დაატუსაღეს მისი შვილის - შვილიც, ათი წლის ვაჟი, შვილი ივანე აბაშიძისა (2). ყველა დატუსაღებულები იმდღესვე რუსეთისაკენ გაისტუმრეს. გზაში ზოსიმე მიტროპოლიტი გაცივდა და ავადდაიცვალა.

დარეჯან ბატონიშვილი თავის შვილის-შვილით რუსეთში, ქალაქ პენზაში დაასასლეს. სასარჯოს არაფერს არ აძლევდენ და ოთავენი დიდ გაჭირვებას და სიმშილს განიცდიდენ. როდესაც ბევრი თხოვნის შემდეგ სამინისტრო შეეკითხა საქართველოს მთავარ-მართებელს ერმოლოვს, თანახმა იყო თუ არა ის დარეჯან ბატონიშვილისათვის თვეში 75 მანეთი სასარჯო დაენიშნა, მან სხვა და სხვა დროს ორი წერილით უპასუხა, რომლის შინაარსი დაახლოვებით შემდეგია:

ქართველი მეფის ქალები და სამეფო საგვარეულო მიწის სახლებში სცხოვრობენო, ლობიოს და ღომის მეტი ხაჭმელად არა გააჩნიათ რაო; დარეჯანზედ 75 მანეთის დასარჯვა ზედმეტია. ეგ სადმე მოსასტარში გამოამწყვდიეთ და მაგის შვილის-შვილი ოგოლთა სასლში მიეგითოო.

განმარტება ზედ მეტია. მაგრამ ეს კი უნდა გსთქვა. იმ ახალ-გაზრდა ქართველთ, რომელთ რაიმე ეროვნული თავმოყვარეობა აქვსთ და პატრიოტული გული უცემსთ, ეს მეურაცხყოფა არადროს არ უნდა დაივიწყონ. რამდენადაც ადამიანისათვის დამამცირებელია პირად ნიადაგზედ შურის ძიება, იმდენად ის, ეროვნულ მოსაზრებით გამოწვეული, ამამაღლებელია მისი. კარგია სიტყვა და პროტესტი სამშობლოს შტრის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველივეს მის გულში გატარებული სანჯალი სჯობია. არ დაივიწყოს ახალგაზრდობამ ერმოლოვის წერილები, არ დაივიწყოს ჩვენ პატივცემულ საეკლესიო პირთა ძაღლებივით ტოძრეგში ჩაყრა. ყოველივემ ეს დამცირება და შეურაცხ ყოფა არა მხოლოდ ერმოლოვმა არამედ ყველა «ნამესტნიკეგმა» მიაყენეს ჩვენს ერს, ე. ი. მთელმა რუსეთმა, ვინაითგან «ნამესტნიკები» რუსეთის წარმოდგენლები იყვნენ. დღეს ამ ნამესტნიკეგს კომისრები ეწოდებათ. უწინ მათი სარისხი დაკვარები ენერალი კნორრინგი, ვოლკოვნსკი, ციციანოვი, ენერალი გუდოვიჩი და ენერალი ერმოლოვები იყვნენ, გუშინ ამხანაგი კერენსკი, ამხანაგი წერეთელი და რუსის სხვა მინისტრები, დღეს კომისრეგი ორასხელამვილი, ორჯონიკიძე და სხვები არიან. ყველა ეს ბანდიტები წარმოადგენენ იმავე იმპერიალისტურ და ჩვენ მოსისხლე მტერს რუსეთს. 1802 წლის იმ 8 მაისის დღითგან, ოდეს ენერალმა კნორრინგმა საქართველოს ანექსია გამოაცხადა, ამ მხრივ არაფერი არ მეცვლოლა: ისევ ის რუსეთი გვიპირობს ჩაყლაპვას ხან მონარქისტული, ხან რესპუბლიკანური და ხან კომუნისტური სახით. დადგება დღე შურის ძიებისა —ეს ყველა ჩვენგანს უნდა სწამდეს— და იმ სანატრელ დღეს ქართველ მებრძოლთა ხელი და გული ყოყმანით არ უნდა შეფერეგენ, არამედ ყველამ დამშვიდებული სინდისით და მეგნებით უნდა შეასრულოს ისტორიულ-ეროვნული მოვალეობა: მეურაცხ-ყოფილ, დამცირებულ სამშობლოს შურის ძიგა და ჩვენ წინაპართა და ძმათა რუსეთის მიერ დაღვრილი სისხლის აღება.

როგორც ზემოთა ვსთქვი, მოძრაობის თითქმის ყველა მოთავენი გაციმბირეს. ჯერ მათ დატუსაღებამდეც ამბოხების უმთავრესი ფიგურა ივანე აბაშიძე იყო და ამის შემდეგ ხომ მთელი საქმე და ინიციატივა მასზედ გადავიდა. მაგრამ რთულ გარემოებას და ძმიმე მოვალეობას გონება-მახვილი, ენერგიული და ნიჭიერი ორგანიზატორი ივანე მედგრად შეხვდა და პირნათლად გაუძღვა. არც დიდხანს დარჩენილა მარტო. დატუსაღებულ ეგის ადგილი სხვა მამულიშვილებმა დაიჭირეს და ივანეს მხარში ამოუდგენ. ამნაირად რუსებს იმედი გაუცრუვდათ. ბელადების დატუსაღებით ამბოხებას თავი არ მოეკვეთა. პირიქით: თითო გაციმბირებულის ადგილს სამი და ოთხი ბელადი გაჩნდა. ერთსენ კიდევ ზედ-მეტად დამტკიცდა, რომ საქართველოს მხნე და თავგანწირული მამულიშვილები და გამოდგილი სარდლები არ აკლდა. მეორე მხრით, სათაყვანებელ სამღვდელოების და საყვარელ სარდლების ღალატით დატუსაღეგამ ხალხი უფრო ააღელვა და ააფოთა. თუ აქამდე ვინმე კიდევ ყოყმანობდა და მიმობდა, ახლა იმანაც საჭურველი აიხსნა და ამბოხებ ს დროშის ქვეშ დადგა. მთელი იმერეთი გმინავდა და მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც ბრძოლა ახდილ ხასიათს მიიღებდა. ყველას თვალი ივანე აბაშიძისაკენ ეჭირა და მის ბრძანებას ელოდა.

ივანე აბაშიძემ ერთი წუთიც არ დაჰკარგა. ის უმალ გურიაში გადვიდა, რათა გურულებიც დაერაზმა და თანაც გურიითგან უფრო თავისუფლად დაემთავრებინა იმერეთის მეამბოხეთა რაზმეგის მოწყობა.

ამ დროს გურიის მთავრად მამია გურიელი იყო. გურიაშიაც, როგორც იმერეთში, რუსებისადმი დიდი უკმაყოფილება იყო. ხალხი ვერ იტანდა რუსების მოხელეების და მსდროების თავგასულობას. თუმცა ოფიციალურად გურია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლებოდა, ნამდვილად მის უფლებებს და ხუვერნიტეტს რუსებმა ფრთები ისე შეაკვეცეს, რომ მას დამოუკიდებლობის აჩრდილი-და შერჩა. რუსის მოხელეები გურიაში მთავრის დაუკითხავად მოქმედებდენ, რუსის ჯარი სამთავროს ტერიტორიაზედ თავისუფლად მოძრაობდა და ხალხს თავისებურად არბევდა, სჩაგრავდა, სძარცვავდა; სამთავროს ყოველ შინაგან საქმეში რუსის მთავრობა მოურიდებლად ერეოდა, რაც გურულთა ცხოვრებას სავსებით რევდა და ანარქიაში აზვევდა. ყოველივე ამან გურულები მოთმინებითგან გამოიყვანა და ამბოხების გზაზედ დააყენა. ხალხი, თავად-აზნაურობა და მათთან სამღვდელოება ეკედრებოდა, ურჩევდა და ხმირად ძალას ატანდა მამია გურიელს, რუსების წინააღმდეგ ოფიციალურად გამოსულიყო და ერმოლის ხელმძღვანელობა თვითონვე მეკისრა. გურიელის ასეთი საქციელი, რასაკვირველია, საერთაშორისო აქტს უდრიდა, ე. ი. ორი სახელმწიფოს შორის ომს. ამნაირად, მოძრაობის მეთაურთა და ხალხის აზრით, გამარჯვების უფრო მეტი მანსი იქმნებოდა. მაგრამ გურიის მთავარი სხვაფრივ ჰფიქრობდა. მისი აზრით, მართალია გურიის დამოუკიდებლობა მხოლოდ ფიქტიური იყო, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, მას კიდევ თავისი საკუთარი მთავრობა ჰყავდა. გურიის მიერ რუსეთისაკენ [illegible] რუსეთს სამთავროს საბოლოოდ მოსპობის საბაბს მიხცემდა. რომ გურია და მასთან ერთად [illegible] მარცხდებოდენ, ამაში გურიელს [illegible] ბოდა. განა დასავლეთ საქართველოზედ ადმოსავლეთი უფრო ძლიერი არ იყო, განა მას 1812 წელს დაღესტანიც არ ებმარებოდა და ამგოზებას სახელოვანი სარდალი ალექსანდრე ბატონიშვილი არა ხელმძღვანელობდა? მომენტიც ზედ მიწვენით შერჩეული და ხელსაყრელი იყო, ვინაითგან რუსის ჯარი ძლევამოსილი ნაპოლეონის წინაშე გარბოდა და ქალაქს ქალაქზედ, პროვინციას-პროვინციაზედ უტოვებდა მას. თვით მოსკოვიც ხომ ნაგარ-ტუტად იყო ქცეული, მაგრამ რუსეგმა მაინც გაიმარჯვეს ადმოსავლეთ საქართველოზედ და ცეცხლსა და მახვილს მისცეს ის. ამის შემდეგ დასავლეთი საქართველოს ამბოხების ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი: ეს უკანასკნელიც აუცილებლად დამარცხდებოდა და აჯანყეგა მხოლოდ გურიის სამთავროს დამხობის დღეს ძოაასლოვებდა. — ასე მსჯელობდა გურიის მთავარი მამია გურიელი. მკითხველი დაინახავს მემდეგ, რომ ამავე აზრისა იყო სამეგრელოს მთავარიც. დღეს ჩვენთვის სულ ერთი არ არის, ჩვენი ქვეყნის ისტორიის იმ მნიშვნელოვან მომენტში რომელი მხარე იყო მართალი, ხალხი თუ მისი მთავარი.

109 წლის მანძილზედ, დამშვიდებით, შორს იმ ვნებათაგან და ინტერესთა შეხლისაგან, რომლის ატმოსფეროში იმ დროს ჩვენ წინაპართ უხდებოდათ მოქმედება, უფრო ადვილად შეგვიძლია გარემოება ავსწონ-დაეხწონოთ და მათი საქციელი შეკაფასოთ. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიცით მათ საქციელთა შედეგეგი, რაის წინასწარი გაჭვრეტა მათთვის მეტად ძნელი და ხშირად შეუძლებელიც იყო. ღღეს კი ჩვენ თითქმის სავსებით სწორი დასკვნეგის გამოყ ანა მეგვიძლია.

მამია გურიელს რომ მხოლოდ ხალხის და აჭეფოს ინტერესებით ეხელმძღვანელა, სულ ადვილად მიხვდებოდა, რომ გურია რუსეთის რაც უნდა მორჩილი ყოფილიყო, რაც უნდა უსიტყვოდ და უპროტესტოდ ავტანა მას რუსების თავზედობა, ეს მას მონობისაგან ვერ იხსნიდა. ღღეს თუ ხვალ რუსეთი მაინც მოუნახავდა მას რაიმე საბაბს და მისი დამოუკიდებლობის იმ დეკორუმსაც კი, რომელსაც მთავრის ავირგვინი წარმოადგენდა, მოსპობდა. მორჩილება გურიას ვერ იხსნიდა ბატონობისაგან ვერ იხსნიდა. ეს იყო უდავო და ძალიან ადვილად დასანახავი ფაქტი. ხოლო ბრძოლა? რა თქმა უნდა, ბრძოლის გამარჯვებით დასრულების თითქმის არავითარი იმედი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ საქმე ის იყო, რომ მისი მეჩერება, ხალხის დამოქმინება, როგორც ეს გურიის მთავრობამ მოინდომა, მეუძლებელი იყო და ეს ასეც მოხდა. მამასადამე, თუ ერთი მხრით მორჩილება გურიას ვერ იხსნიდა და მეორე მხრით კი ამბოხება აუცილებელი იყო და რუსთა და გურული ხალხის შეა სისხლი უნდა დაღვრილიყო, ისევ უმჯობესი იყო, ამბოხება ერთხელოვანი ყოფილიყო, საერთავროს ყველა ელემენტებს ერთი ხელის ქვეშ მოეყარა თავის ენერგია და მთავრის საქმეში ჩარევით ამბოხებას ომის ხასიათი მიეღო და საერთაშორისო აქტად ქცეულიყო. თუ ომი გამარჯვებით [illegible] დაგვირგვინდებოდა, ყოველივე შემთხვევაში აჯანყებაზედ მნიმვნელოვანი იქმნებოდა და რუსეგს მისი დაძლევა ერთი ათად გაუძნელდებოდათ. რათგან სისხლის დაღვრა აუცილებელი იყო და დასავლეთი საქართველოს ხალხის სტიქიურ ამბოხებას ვეღარაფითარი ძალა ვეღარ შეაჩერებდა, ბარემ-ღა ამ აჯანყეგის გარშემო ყველა ეროვნული ძალები დარაზმულიყო. ყოველივე შემთხვევაში ერთი იყო ნათელზედ ნათელი და რუსების ოქმედებამ კავკასიაში ყველას ამკარად დაანა ვა: ის, [illegible] რუსები იმას უფრო უწევდენ ანგარიშს, ვინც უფრო დიდის ძალით იერძოდა მათ წინააღმდეგ. ხოლო იმათ, ვინც მეტად ემორჩილებოდა მათ და მეტის პირუტყვული დუმილით იტანდა მათ პატონობას, უფრო ძლავრად აჭერდენ ოვეს და უფრო მეტად სრესავდენ. ყოველივე შემთხვევაში, მაშინ როდესაც მთელი იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი, გურიის და სამეგრელოს ხალხი იარაღში ჩაჯდენ და ბრძოლის ველზედ გავიდენ, ამ დროს, ამ საერთო თავგანწირულების ნუთგაში გურიელის და დადიანის მიერ განზედ გადგომა და ამბოხების წინააღმდეგ მოქმედება ხომ სამშობლოს ერთნაირ ღალატს უდრიდა!—აი როგორ უნდა ემსჯელა გურიელს, რომ ის წმინდა ეროვნული ინტერესეგის ნიადაგზედ დამდგარიყო. მე არ მინდა ვსთქვა, რომ მამიას ერის ინტერესები სავსებით ავიწყდებოდა. არა. მეფის მხრივ, რაც უნდა მდაბალი ბუნეგისა და გონების არ იყოს იგი, ეს ყოველივე შეუძლებელია. მაგრამ გურიელი ხალხის ინტერესეგთან ერთად თავისასაც არ ივიწყებდა. და როდესაც მჯელობის ხასწორზედ ეროვნულთან ერთად თავისი დინასტიური ინტერესიც დასდო, მაშინ ამბოხებისაგან განდგომისა და რუსეთისადმი ლოიალობის მოსაზრებამ გაიმარჯვა. გურიელმა კარგად იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ რუსეთი გურიის სამთავროს მოსპობდა, მაგრამ მას სურდა რომ ეს «ხვალე» რაც შეიძლება ეგვიან დამდგარიყო, რომ მას მთავრის ეგირგვინი რაც შეიძლება უფრო დიდხანს ეტარებინა. ის ფიქრობდა, რომ გურიის მიერ რუსეთისადმი ლოიალობა გურიის სამთავროს გონიას გააგრძელებდა და მისი არსებეგის აღსასრულს რამდენიმე ხნით მაინც დააგვიანებდა. რომ გურიის მთავარი სცდებოდა, ეს იქითგანაც გამოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა რომ სამეგრელოში სრულიად იგივე მოხდა რაც გურიაში, ე. ი. იქაც მთავრობა დარჩა ლოიალური და ხალხი კი აჯანყდა, რუსეთმა გურია უკვე 1828 წ. მოსპო, მაშინ როდესაც სამეგრელოს სამთავროს მოსპობა მხოლოდ 1868 მოასწრო, ე. ი. მხოლოდ 40 წლის მემდეგ. მამასადამე გურიის ან სამეგრელოს პოლიტიკური გაუქმეგის დატა რუსეთის მიერ ამ ორ სამთავროს ლოიალობისაგან და მორჩილეგისაგან კი არ იყო დამოკიდებული, არამედ სხვა და სხვა პოლიტიკურ კომბინაციებისაგან და საერთაშორისო მდგომარეობისაგან. მაგრამ, როგორც ზემოდ ვსთქვი, გურიელი თავისებურად მსჯელობდა: ის ამგოზების წინააღმდეგი იყო.

---

1) აქტები ტ. 6 გვ. 801.

2) დარეჯან ბატონიშვილი იყო ქალიშვილი იმერეთის მეფის სოლომონ დიდისა და დედა ივანე აბაშიძისა. თვით სოლომონ მეფე იყო ძმის წული სოლომონ დიდისა. მისი ნამდვილი სახელი იყო დავით, ხოლო სოლომონ უწოდეს ბიძის საპატიოდ და მისი სახელის გასაგრძელებლად. მამა სოლომონისა იყო არჩილ ბატონიშვილი და დედა ელენე ორბელის ასული.

ამიტომ ივანე აბაშიძემ გურიაში მამიასაგან ვერც დახმარება მიირო და ვერც მფარველობა. ივანე ქაიხოსრო გურიელს შეეკედლა. ეს უკანასკნელი მამიას ბიძა იყო. იმ დროს უკვე სნიერი ქაიხოსრო თავისი სწავლა განათლებით დიდად ცნობილი კაცი იყო. მან ზედ-მიწევნით იცოდა ისტორია, იმ დროის მეცნიერებანი, უცხო ენები და ლაპინურ-ბერძნულად ზედ-მიწევნით ლაპარაკობდა და სწერდა.

აი ამ კაცთან იბოვნა თავშესაფარი იმერეთის ამაღლების ბელადმა ივანე აბაშიძემ. ქაიხოსროს სტუმარს მისმა ძმისწულმა შვილიწოლება ვერ ვაუბედა და მის საქციელზედ და მოქმედებაზედ თვალის დაუჭვა არჩია. თორემ, შესაძლებელია, გურიელს კიდევაც დამტუსაღებინა და ნილი აბაშიძე, ან და, ყოველივე შემთხვევაში, სამთავროთგან განედევნა, მით უმეტეს, რომ **მან** კარგად იცოდა, რომ რუსები მას ივანეს შენახვას არ შეარჩენდენ. მაგრამ მამიამ ისიც კარგად იცოდა, რომ ივანეს განდევნით ის არა მხოლოდ ქაიხოსროს, რომელიც გურიის უდიდესი მაგნატი იყო, არამედ მთელ გურიის ხალხს აიმხედრებდა თავის წინააღმდეგ. აი ასეთი უძლური გამოდგა გურიის მთავარი თვით აბაშიძის წინააღმდეგაც კი, და იმის ფიქრი, რომ **მას** ამგოხვება ჩაეშალა, ხომ სულ უაზროება იყო.

გურიაში ივანე აბაშიძე მიიღეს ისე, როგორც მეამბოხეთა ბელადს და სოლოდმოენ მეფის შვილის შვილს შეგებრებოდა და ყველამ მის გარშემო დაიწყო თავის მოყრა. შეიტყო თუ არა რუსის მთავროებამ, ქაიხოსრო გურიელმა ივანე აბაშიძე შეიფარაღ, მაშინვე მოდალატედ გამოაცხადა იგი. განა შეეძლოთ რუსებს ქართული რაინდული ტრადიციების გაგება? განა ილია ბურომეცის მხეცურ ხნოებაზედ აღზრდილი ხალხი მიხვდებოდა «ვეფხის ტყაოსნის» რაინდული სულით გამსჭვალულ ხალხის ჩვეულებას? ქაიხოსრო და მაშინდელი ყოველი ქართველი, ვინც კი ღირსი იყო ამ სახელისა, მტვრსაც კი ზრდილობით მიიღებდა ხალხში და ბურ-მარილს არ დაიშურებდა მისთვის. და განა შესაძლებელი იყო, რაინდს და მაღალ-სულოვანს ქაიხოსროს მასპინძლის მოვალეობისათვის ეღალატა და მეორე ისიც ვის მიმართ ჩადენია ღალატი? ხალხში არ მიეღო ვინ? იმერეთის ხალხის მიერ ხანატრელი და საყვარელი, ხოლოდმოენ დიდის შვილის-შვილი ივანე აბაშიძე? ამას ქაიხოსრო არაფრისთვის არ იზამდა და ვერც იზამდა. მეტად მძლავრი იყო ტრადიცია მაშინ და ქაიხოსრო კი ნამდვილი ქართველი. ქაიხოსრო ამბოხებაში არ ერეოდა. მან ხრული ნეიტრალიტეტი დაიჭირა. არც მამიას მიემხრო ამბოხების წინააღმდეგ, არც მეამბოხე გურულებს უწყობდა ხელსა. მაგრამ რუსებმა ყოველივე ეს ვერ შეიგრძეს და ქაიხოსრო გურიელს აგლება დაუპირეს.

ამ მიზნით პოლკ. პუზირევსკიმ ეგერების პოლკის ერთი ასეულით და ორი ზარბაზნით ქუთაისითგან გურიას მიაშურა. ქაიხოსრო თავის ცნობილ შემოქმედის სასახლეში სხოვრობდა. ამ სასახლის კარის ეკლესია დღესაც არსებობს და იგი განთქმულ შემოქმედის მონასტერს ეკუთვნოდა ბოლშევიკების შემოხვლამდე.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს შემოქმედი, ის მის საარაკო შვენებას ვერადრეს დაივიწყებს. შემოქმედი ურეკეთითგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იმყოფება. ის ამართულია ერთ ბორაკზედ და დაბლა, კარშემო პატარა ანკარა მდინარე ჩამოდენის. შემოქმედითგან ადამიანის თვალის წინ იშლება საუცხოვო, თვალ-წარმტაცი, მომხიბლავი სურათი. ერთი მხრით მოსჩანს მთელი გურია შვენიერ, ტროპიულ ტყეებში და გაღეგში ჩაფლული, რომელიც ერთ საუცხოვო, ვრანდიოზულ პარკს წარმოადგენს; დასავლეთიდ შავი ზღვა, გადამლილი ვით თვალ-უწვდენი მუქი საფირონი, რომლის მიმართულებით წითელი მიწის ბილიკები მიიკლაკნელიან, და ამ ღერგების შეხამება ჭქმნის რაღაც უცნაურს, ჯერ უნილავ სურათს; სამხრეთით თითქმის ზედ აკრავს ხმირი ტყით დაბურული ბახმარეს მთები. ეს უცხო გარემო გურიის ლაჟვარდი ცის ქვეშ ბავლინებათ რაღაც უცნაურ სიხმრად, ეყენებსთ გარეშე დროისა და სივრცისა და ეაგრძნობინებსთ არსებობის ბუნდოვანს და მიუწვდომელ საიდუმლოს... ნოსტალგია მოიცავს გულს... რაზედ? რისთვის?.. დრო ჩერდება... გრძნობთ, რომ თქვენი სული წარსულ, უთვალავ საუკუნეთა გამოძახილია და ისევე გამოუცნობი და იდუმალი, ვით მსოფლიო. ადამიანს უნდა ვაჟას ან ბაირონის კალამი ჰქონდეს, რომ დაახლოვებით მაინც ასწეროს შემოქმედის გარემოს მომხიბლავი სიტურფე...

აი, ამ შემოქმედში სხოვრობდა ქაიხოსრო. მის წინაპართ ამ საუცხოვო ადგილს აეგოთ დიდი, შვენიერი ციხე-დარბაზი, გარშემორტყმული მაღალი და ძლიერი კოშკებით. ციხის ეალავანში ამართული იყო მოზრდილი საცხოვრებელი სახლი ფართო დარეკვებით. სასახლეს კარის ეკლესია ჰქონდა, რომელიც დღესაც არსებობს და რომელიც ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის შვენიერი ნიმუშია.

შემოქმედის ციხეს ხშირად დაუცვავს მტრისაგან გურია, მის კედლებს შორის და კოშკების სიმაღლითგან ბევრ გურულ, აჭარელ და ქოგულეთელ ვაჟკაცს უბრძვია თავგამოდებით და მამაცურად. მრავალ შემოსევას და მწვავე კრძოლას გაუძლო შემოქმედმა და საუკუნეთა განმავლობაში ამაყი და მიუწვდომელი ერთგულ გუშაგად უდგა თავის სამშობლო გურიას, სანამ ჩრდილოეთის კარგაროსებმა მირიან-ფესვიანად არ დაანგრიეს, ქვა-ქვაზედ არ დასტოვეს, დასწვეს და გადაბუგეს ..

აი, ამ ციხე-დარბაზის ასაკლებად მიემურებოდა პოლკ. პუზირევსკი. როდესაც შემოქმედს მიუახლოვდა, ჯარი უკან დასტოვა და თვითონ ერთი ოფიცრით, ერთი ყაზახით და თარჯიმანით სასახლის ეალავანში შევიდა. ქაიხოსრო შინ არ დაუხვდა, ის მახლობელ სოფელში იმყოფებოდა. როდესაც მოახსენეს ქაიხოსროს. თქვენ სასახლეს რუსები შემოესიენო, მან მყისვე ვინმე იოთამ ბოლქვაძე აფრინა ორი გურულით, რათა მას ეს ამბავი ყმებისათვის ემცნო და ხალხი ფეხზედ დაყენებინა გატეხის დასაცავად. ბოლქვაძემ კრძალება შეასრულა თუ არა, სასახლისაკენ გაემურა. გზაზედ პოლკ. პუზირევსკი შემოეყარა თავის მხლებლებით. პუზირევსკი, ქაიხოსრო გურიელი რომ სახლში ვერ ენახა, უკან გამობრუნებულიყო და თავის ჯარებისაკენ მიდიოდა. პუზირევსკიმ დაინახა თუ არა ბოლქვაძე, მიაშურა და შეჰყვირა: სად არის ძაღლის შვილი ქაიხოსროო? (1) იოთამ ბოლქვაძემ პატრონის შეურაცხყოფა ვერ მოითმინა, პუზირევსკის თოფი დააბალა და გულგანგმირული ცხენითგან გადმოაგდო. ბოლქვინიკის მცველი ყაზახი ცხენ და ცხენ მივარდა იოთამს, მაგრამ მან ყაზახს ხმალი მოასჩრო და თავი შეაზედ გაუპო. ბოლქვაძის ამსანაგმა გურულმა დაკოდილ ყაზახს ხანჯლით ბოლო მოუღო. ოფიცერი და თარჯიმანი კი დაატუსაღეს.

ყოველმა ქართველმა გულში უნდა ატარეს ხსოვნა და პატივისცემა იოთამ ბოლქვაძისა. გურიის ამბოხებაში რუსთა ბინძური სისხლი პირველად ბოლქვაძემ დაღვარა და დაღვარა ვაჟკაცურად, ნამდვილი ქართული სიმამაცით. მის მიერ გასხოლილი თოფი და მოქნეული ხმალი ყოველი ქართველი მებრძოლი ახალ-გაზრდისათვის მისაბაძ მაგალითად უნდა დარჩეს.

პუზირევსკი მოჰკლეს 13 აპრილს 1820 წელს. მის მაგიერ მთავროებამ პოდ-პოლკოვნიკი ზეგორელსკი დანიშნა. ამ უკანასკნელმა გურიაში გაფანტული რუსის ჯარი ერთ ადგილას შეჰკრიბა. რუსის მთავროებამ გადაწყვიტა ქაიხოსროს სასტიკად დასჯა. 26 მაისს იმ კორპუსის კომანდირმა, რომელსაც გურიაში საოპერაციოდ გაგზავნილი ჯარები ეკუთვნოდა, შემდეგი «დღის ბრძანება» გასცა: ვერაგი ყაჩაღი ქაიხოსრო უნდა დაისაჯოს; ქვა-ქვაზედ არ დასტოვოთ, ერთი ცოცხალი არ გაუშვათ, ეაყლიტეთ, შემუსრეთ და სხვა და სხვა. კომანდირის კრძანების სისრულემი მოსაყვანად პოდ-პოლკ. ზეგორელსკი ორი ასეული ქვეითა ჯარით, ერთი ასეული ყაზახით და ორი ზარბაზნით სოფელ ჩოხატაურითგან შემოქმედისაკენ წავიდა. ჩოხატაურში კი პოდ-პორუჩიკი ფონ-კლუგენის უფროსობით 80 ჯარისკაცი და 7 ყაზახი დასტოვა. აქ რუსებს რამდენიმე სასურსათო და იარაღის საწყობი ეხოდათ და კლუგენს ევალებოდა მათი დაცვა.

შემოქმედის ციხითგან რამდენიმე კილომეტრის მანძილზედ ზეგორელსკის რაზმს ტყეში გურული მეომრები ჩაუსაფრდენ. მოახლოვდენ თუ არა რუსები, გურულები თავს დაესხენ და თავითგანვე მარჯვედ შეუტიეს. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. რუსებმა ხიშტით მიიტანეს იერიში და ზუბა გაიკაფეს. მაგრამ შემოქმედის ახლოს მათ გურულები ყოველი მხრითგან შემოეგრტყენ და რკალი შემოავლეს. ბრძოლა დაიწყო დღისით და მთელ ღამეს გასტანა. გურულებს გადამწყვიტათ, ცოცხალი თავით ბატონის სახახლე მტრისათვის არ დაენეგებინათ. ან ადვილად და უსისხლოდ რეგორ დაანებებდენ ვისმე იმ ციხე-სიმაგრეს, რომლის აშენებაში მათი ოფლი და ღვაწლი უნვად იყო ჩაქცეული და რომელიც მათი ქვეყნის, ცოლ-შვილის და ქონების საუკეთესო დამცველი იყო?

გათენებისას რუსეგი საკვებით დამარცხდენ და შესამჩნევი ზარალი ნახეს. დიდი სიძნელით დაუსხლტდენ გურულებს ხელითგან და უკუ-იქცენ. ჩოხატაურისაკენ დასვლა შეუძლებელი იყო, რათგან აქეთ ყველა გზები გურულებს ეჭირათ და ამიტომ რუსის რაზმმა თავი ოზურგეთის შეაფარა აქ მას მამია გურიელის რიდით ვერავინ ვერ ას გაუბედავდა.

გაქცეულ რა რუსეგი ოზურგეთისაკენ, გურულები ხოდ. ჩოხატაურის რაზმს დაესხენ თავს. თუმცა აქ რუსები ორ ხახლში წინასწარ გამაგრებულიყვნენ და თავგანწირულად იკრძოდენ, გურულებმა მაინც სძლიეს მათ და მთელი რაზმი ამოწყვიტეს. ხიკვდილს მხოლოდ ორი-სამი ჯარისკაცი და თვით პოდ.-პორ. ფონ-კლუგენი გადურჩა, მხოლოდ ეს უკანასკნელიც მძიმედ იყო დაჭრილი.

აქ ცოტა ხნით გურიას თავი დავანებოთ და ვნახოთ, რა ხდებოდა ამ დროს სამეგრელოში.

სამეგრელოშიც იგივე მდგომარეობა იყო: მთავარი რუსებისადმი იძულებით ლოიალობდა და მთელი ხალხი კი აჯანყებას ლამობდა.

მაგრამ აქ აჯანყეგას თვით სამეგრელოს მთავრის ძმა ბატონიშვილი გიორგი ბელადობდა. გიორგი პატარაობითგანვე რუსეთში იყო აღზრდილი, სადაც პაჟთა კორპუსი გაათავა და პრეობრაჟენსკის პოლკში მსახურობდა პოდ-პორუჩიკის ხარისხით. ამბოხების დასაწყისში გიორგი დადიანი სამეგრელოში გაჩნდა და ბრძოლის დროშა ააფრიალა.

ლ. კ.

წერილი ბერლინითგან.

შვეიცარიის სტუდენტთა კავშირის „ბერხტოლდია“-ს თაოსნობით იანვრის 27-ს (ძველი სტილით წმ. ნინოობას) მოხდა კრება, რომელმაც მოისმინა ბ. ვასილ სადათიერაშვილის მოხსენება საქართველოს შესახებ. დიდი დარბაზი სასტუმრო „იურა“-სი მთლად გაჭედილი იყო ხალხით. გარდა სტუდენტობისა კრებას, **რ**ომელმაც საღამოს 8 ნახ.-ითგან 12 საათამდე გასტანა, დაესწრენ ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორები და პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. მომხსენებელმა მგრძნობიარე, კარგად დალაგებული, შინაარსიანი და დასაბუთებული სიტყვით გააცნო მსმენელთ საქართველოს წარსული, მისი შეუჩერებელი თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის 2000 წლის განმავლობაში. განსაკუთრებით მომხსენებელი საქართველოს დღევანდელ მწარე ხვედრზედ შეჩერდა. მან მჭერმეტყველებით დაუხატა მსმენელთ ის დიდი მსხვერპლი, რომელსაც ეწევა დღევანდელი საქართველო დამოუკიდებლობის აღსადგენად და ევროპიული კულტურის დასაცველად მოსკოვის ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში (ეს მოხსენება ბ. სადათიერაშვილმა წარსულ წელს ბერლინში „აზიის მებრძოლთ კავშირის“ კრებაზედაც წაიკითხა. მოხსენება გამოვიდა 14 ფელეტონად აღმოსავლეთ პრუსიის ცნობილ და პოლიტიკურად გავლენიან გაზეთ „ოსტეროდერ ცაიტუნგ“-ში და მალე ცალკე წიგნაკადაც გამოვა).

1) ღუნ. პოტტო ტ. 3 გვ. 517.

კრება 2 ნახევარ საათის განმავლობაში დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით უსმენდა მომხსენებელს. მეტად საყურადღებოა ის ბაასი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც თვითონ მოხსენებას. კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა მაიერმა საყურადღების სახელით მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და შემდეგი დასძინა: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ აქ მოსმენილი აზრი უკვალოდ არ გაივლის ჩვენში. ჩვენ ჩვენი წარსული და ეროვნული სახე თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოვჭედეთ. ღრმად ჰხვდება ჩვენს გულსა და აზრს საქართველოს ტრაგედია, და თუ ჩვენში კვლავ შვეიცარიელთა სული ჰბერავს, ქართველი ერის ტკივილები საკუთარ ტკივილებად უნდა ვიგრძნოთ და შესაფერი დასკვნანიც უნდა გამოვიტანოთ“.

ხანგრძლივად ილაპარაკა ცნობილმა ჟურნალისტმა ჰაკოფერმა. მკაფიოდ დაახასიათა მან ერთი მხრით მოსკოვის ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის კომუნიზმისა და რევოლუციის ქერქში, მთელი ხიფათი ამ საშინელი ბარბაროსული იერიშებისა ევროპისათვის და მეორე მხრით გმირული ბრძოლა ამ ველურობის წინააღმდეგ „ეროვნებათა ფრონტისა“ (უკრაინა, კავკასია საქართველოს მეთაურობით, რუსეთის მაჰმადიანობა და სხვა).

„რუსეთმა, განაგრძო მან, ბრძოლა მსოფლიოს გამოუცხადა და ნურავინ იფიქრებს, რომ ამ ბრძოლაში შეიძლება ნეიტრალად დარჩენა. არც ჩვენ შეგვიძლია ნეიტრალობა. დროა დასავლეთმა (ევროპამ) „მლიქვნელობას“ თავი დაანებოს და შესაფერი კილოთი უპასუხოს რუსულ ტირანიას. ეს დათვი აქეთ, ჩვენსკენ —ერთა ლიგის სასახლისაკენ მოიტოტება თავისი ვერაგი აზრებით და გაწბრახვებათ. მას უნდა დახვდეს წინ ჩვენი შეუდრეკელი ძახილი და გადაწყვეტილება: „ძირს ფარდა, ხელი შორს საქართველო -კავკასიისაგან!“ სანამ რუსეთის საოკუპაციო ჯარები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან და აწარმოებენ უსაშინელეს და წარმოუდგენელი ფორმებით —აგერ 10 წელია —განმანადგურებელ ყოველდღიურ ომს, არ დასტოვებენ დაპყრობილ ადგილებს, რუსის ფეხმა არ უნდა წაბილწოს ჩვენი მიწა-წყალი და ერთა ლიგის პალატა. „ხელი საქართველოსაგან, ხელი კავკასიისაგან!“ უნდა გადიქცეს ჩვენ სადღეისო დევიზად (დამსწრეთა მხურვალე ტაშის ცემა). შარშან— განაგრძო ორატორმა— როდესაც ორი ქართველი პატრიოტის საქმე ირჩეოდა ბერლინში და მთელი ქვეყნიერების ყურადღება მიჯაჭვული იყო რუსეთის ბარბაროსობაზედ და ქართველი ერის ტრაგედიაზედ, აქ, ბერნში შემთხვევით იმყოფებოდა მსოფლიო სახელის მქონე გერმანელი სამხედრო ავტორიტეტი. ჩვენ სამხედრო კლუბში მოხსენებაზედ შეეკითხეთ მას ბერლინის პროცესის შესახებ. მისი სიტყვები იყო: ეს იყო ერთადერთი სერიოზული ცდა რუსეთში დღევანდელ მდგომარეობის შესაცვლელადო და დიდად სამწუხაროა მისი ჩაშლაო!—და როდესაც მოსკოვმა მთელი ძალა შინ და გარედ —მოიგონეთ სოციალისტურ პრესის იერიშები— ქართველ და გერმანელ პატრიოტების წინააღმდეგ მიმართა, რა ვაკეთეთ ჩვენ? სად იყო ჩვენი ხმაც, რომ გვეთქვა: მოსკოვის წინააღმდეგ წმინდაა ყოველი საშუალება!“

საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ღვთისმეტყველების ცნობილმა პროფესორმა, მოხუცმა პოლ დე შასტონემ:

„საქართველოს დიდი ღვაწლი ქრისტიანულ კულტურის დაცვაში მოგონილი არ არის. ის ჩვენი ქრისტიანობის კულტურის ისტორიის დიდი ფაქტია, რომლის სამაგიერო ჩვენ ქართველი ერისათვის არ გადაგვიხდია. დიდის ყურადღებით ვადევნებდი თვალ-ყურს ამ ერის ბედს ბოლო დროსაც... და ჩემთვის ბევრი რამ გაუგებარი და სამწუხაროც იყო. მი ვერ გამეგო **ბრ**ძოლის ის მოტივი, რომელსაც უსახავდა ქართველ ერს ქართული სოციალისტური მთავრობა: ბრძოლა სოციალიზმისა და რევოლუციისათვის. დღევანდელმა მოხსენებამ გამარკვია და დამამშვიდა კიდეც. კეთილშობილი და არისტოკრატი ერი იბრძვის: მამულის დასაცველად, ენისა და ეროვნული სახის შესანახად, ქრისტიანული ოჯახისა, რჯულისა და ძმობისა, ჩვენი კულტურის პრინციპებისა და წარმატების დასაცველად. და აი ამ დიდი პრინციპებისათვის წინა-რიგებში მებრძოლ იქ საქართველოს და აქ მის გადმოხვეწილ შვილებს ვუცხადებთ ჩვენს ღრმა თანაგრძნობას და ვუსურვებთ სრულს გამარჯვებას!“

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გერმანული და იტალიური შვეიცარიის სერიოზულმა პრესამ სულ სხვა მიმართულებით დაიწყო წერა რუსეთზედ. ძველი შეხედულება „რუსეთის რევოლუციონურ მთლიანობისა“ და „საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის საუკეთესოდ გადაწყვეტის“ შესახებ შეიცვალა სულ საწინააღმდეგო შეხედულებით. ამ მხრივ ცოტა მნიშვნელობა არა ჰქონდა ერთი ჩვენი დამსახურებული ეროვნული მოღვაწის წერილებს რუსეთის ნამდვილ ვითარებაზედ. ბევრ წერილს, როგორც მაგ. „ხუთი წლის პლანის კრიტიკას“, აქაური გაზეთებითგან ინგლისის, გერმანიის და იტალიის გაზეთებმაც მიაქციეს ყურადღება. „ცურიხის ახალი გაზეთის“ 2525 ნომერში (კვირის მეორე გამოცემა, 21-11-30) დაბეჭდილ წერილს: „სტალინი“ გამოხმაურება ჰქონდა ლონდონისა და ვენის პრესაში. „შვაიცერიშე რეპუბლიკანიშე ბლეტტერ“ ბეჭდავენ ბ-ნ ბაზილიუს-ის წერილების სერიას საქართველოზედ ყოველ კვირეულად.

ვინმე დამსწრე.

ბერნი, იანვრის 28-ს 1931 წელს.

L Gérant : Félix KALDENBACH.
imp. METTHEZ FRERES. MONTBELIARD-HERIMONCOURT